თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5997771

ნომერი: AR1905573

თარიღი : 09.06.2022

გაცემის თარიღი : 22.06.2022

გაცნობის თარიღი : 23.06.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, 17 შინდისელი გმირის ქუჩა, N 9, ქალაქი თბილისი, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N11-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თენგიზ იმნაიშვილი პ/ნ 61001021318
- საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, III მასივი VIII კვ. კორ. 8 ბ. 20

ორგანიზაცია:
- შპს ბათუმი ბილდინგი კოდი: 406125303

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 08 აპრილის №5888644 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 09 ივნისს №AR1905573 განცხადებით მომართა თენგიზ იმნაიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 08 აპრილის №5888644 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ღია ავტოსადგომებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 08 აპრილის №5888644 ბრძანებით შეთანხმდა №01.19.36.001.522 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 08 აპრილიდან 2022 წლის 08 აგვისტოს ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2022 წლის 08 აპრილის №5888644 ბრძანებით შეთანხმებულ გენ-გეგმაზე დატანილია ღია ავტოსადგომები, რომლის ფართობი ბრძანებაში არ არის დაფიქსირებული. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ღია ავტოსადგომების ფართობის (96.25 კვ.მ.) სამსახურის 2022 წლის 08 აპრილის №5888644 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული გენ-გეგმა შეადარა შეთანხმებულ გენ-გეგმას და დაადგინა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია. ამასთან, გენ-გეგმა არ იცვლება, ხდება მხოლოდ გენ-გეგმაზე ღია ავტოსადგომების ფართობების და ზომების დატანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 08 აპრილის №5888644 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირდეს: ღია ავტოსადგომები: 96.25 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 08 აპრილის №5888644 ბრძანებით შეთანხმებული გენ-გეგმა (მე-2 ფურცელი) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული გენ-გეგმით (პირველი ფურცელი).
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 08 აპრილის №5888644 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 22022 წლის 08 აპრილის №5888644 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.